შპს „ანდრე აუდიტი"
ფირმის რეგისტრაციის # SARAS-F-934401
ს/ნ 406121352
ქ. თბილისი, ლეჟავას #22
ტელ: 577656401
info@andreaudit.ge

#ანდრ 29.04/001

29.04.2024

შპს ტელე-რადიო კომპანია ტვ 24

ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს-ს ტელე-რადიო კომპანია ტვ 24-ის- დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოდიფიცირებული (პირობითი) მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ **შპს-ის ტელე-რადიო კომპანია ტვ 24- (შემდგომში - „კომპანია")** თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი მოსაზრებით, **შპს-ს ტელე-რადიო კომპანია ტვ 24-ის** ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების შემდეგ პუნქტებზე:

შენიშვნა 2 - 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა ზარალმა შეადგინა 1 151 ლარი და ამ თარიღისათვის კომპანიას უფიქსირდება 1 126 ლარის აკუმულირებული ზარალი. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რადგან 2024 წლის 30 იანვარს შეიცვალა 100% წილის მფლობელი. ახალი მეპატრონე მზად არის განახორციელოს დამატებითი ინვესტირება კომპანიაში და დადოს მომგებიანი კონტრაქტები.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

• ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

• შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

• ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

• გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე

ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს „ანდრე აუდიტის " სახელით

სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-934401

ზაზა მჭედლიშვილი

SARAS-A-863342

თბილისი, საქართველო

11 დეკემბერი 2023 წ.

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8
განმარტებითი შენიშვნები 8
1. **ზოგადი ინფორმაცია** 9
2. **საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები**: 9
3. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება: 9
3.1. ფულადი სახსრები: 9
3.2 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები: 9
3.3 ძირითადი საშუალებები: 10
3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები: 10
3.6 სავაჭრო ვალდებულებები 10
3.7 სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები: 10
4. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 11
4.5 თანამშრომელთა ხელფასები 11
4.6 ცვეთა და ამორტიზაცია: 11
4.7 საოპერაციო იჯარა: 11
4.8 ადმიისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები: 12
4.9. საპროცენტო ხარჯი: 12
4.10 სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი: 12

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბრისთვის

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის დაცვით.

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ინფორმაცია წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მსს ფასს–ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2024 წლის 25 აპრილს

შპს-ს ტელე-რადიო კომპანია ტვ 24-ის დირექტორი ნანა ლეჟავა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2023	2022	2021
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	475	1 094
საავანსო და სხვა მოთხოვნები	1 714	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	17 085
ძირითადი საშუალებები	2 062	9 236	6 268
სხვა ძირითადი საშუალებები	2 062	9 236	6 268
სულ აქტივები	3 782	9 711	24 447
ვალდებულებები			
საავანსო ვალდებულებები	(175)	(83)	824
საგადასახადო ვალდებულებები	(4 733)	(4 601)	(1 279)
სხვა ვალდებულებები	-	(5 002)	(18 214)
სულ ვალდებულებები	(4 908)	(9 686)	(18 669)
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1 126	(25)	(5 778)
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1 126	(25)	(5 778)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	(3 782)	(9 711)	(24 447)

შპს-ს ტელე-რადიო კომპანია ტვ 24-ის დირექტორი ნანა ლეჟავა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2023	2022
ნეტო ამონაგები	26 476	52 674
მომსახურების გაწევიდან	26 476	52 674
გაყიდვების თვითღირებულება	-	(2 700)
საერთო მოგება	26 476	49 974
ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი	(25 747)	(50 811)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(1 847)	(3 806)
საპროცენტო შემოსავალი	60	-
სხვა ხარჯები	(94)	(1 110)
მოგება / ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე	(1 151)	(5 753)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(1 151)	(5 753)

საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული	25	5 778
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი)	25	5 778
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	(1 126)	25

შპს-ს ტელე-რადიო კომპანია ტვ 24-ის დირექტორი ნანა ლეჟავა

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. **შპს-ს „ტელე-რადიო კომპანია ტვ 24"** (შემდგომში „საწარმო") დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2014 წლის 01 ოქტომბერს. საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი 2024 წლის 30 იანვრამდე ფიზიკური პირი ვიქტორ მეძმარიაშვილი (პ№01024007798), ხოლო 2024 წლის 30 იანვრიდან საწარმოს 100%-ის მფლობელია შპს ნომი ინვესტმენტ (ს.ნ.404594444)

1.2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ტელე-რადიო მაუწყებლობა.
- სარეკლამო მომსახურება.

1.3. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად

2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა ზარალმა შეადგინა 1 151 ლარი და ამ თარიღისათვის კომპანიას უფიქსირდება 1 126 ლარის აკუმულირებული ზარალი. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რადგან 2024 წლის 30 იანვარს შეიცვალა 100% წილის მფლობელი. ახალი მეპატრონე მზად არის განახორციელოს დამატებითი ინვესტირება კომპანიაში და დადოს მომგებიანი კონტრაქტები.

3. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

3.1. ფულადი სახსრები:

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალ-ცალკე, **პირდაპირი მეთოდით;**

დასახელება	2023	2022
1110 - ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	**7**	**475**
სულ ჯამი	**7**	**475**

3.1.1 უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;

3.1.2 შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

3.1.3 მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ:

დასახელება	2023	2022
1430 - მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	**1 714**	**0**

3.2 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით.

3.2.1 მარაგები არ გააჩნია.

3.2.2 საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია.

3.3 ძირითადი საშუალებები:

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით. გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა;

დასახელება	2023 წელი						
	ისტორიული ღირებულება	ჯამური ცვეთა	ნარჩენი ღირებულება 01.01.2023	მიღება	გასვლა	2023 წლის ცვეთა	ნარჩენი ღირებულება 31.12.2023
ოფისის აღჭურვილობა	6489	5014	1475	0	997	294	180
ავეჯი და ინვენტარი	12539	4778	7762	0	4328	1552	1882
ჯამი	19028	9792	9237	0	5325	1847	2062

მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. ამასთან, საზოგადოებას საქონლისა და მომსახურების მიწოდება დაკავშირებული მხარეების მიმართ არ განუხორციელებია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ასახვა მოხდებოდა განცალკევებულად.

დასახელება	2023	2022
1410 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	**0**	**0**
სულ ჯამი	**0**	**0**

3.6 სავაჭრო ვალდებულებები:

საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. შესაბამისად, სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია პირვანდელი ღირებულებით.

დასახელება	2023	2022
3110 - მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	**175**	**83**
სულ ჯამი	**175**	**83**

3.7 სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

საწარმოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებები აღრიცხული აქვს განცალკევებულად, საგადასახადო ანგარიშგებებაში დეკლარირებული გადასახადის ოდენობით.

დასახელება	2023	2022
3320 - ერთიანი სახაზინო ანგარიში	**4 733**	**4 601**

4. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

4.1. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

4.2. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

4.3. საანგარიშგებო პერიოდში შემოსავლები გაიზარდა, რაც ასახულია ქვემოთ ცხრილში:

ასახელება	2023 წ	2022 წ
შემოსავალი რეალიზაციიდან	26 476	52 674

4.4. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით". დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად დასაბეგრი და ფინანსური მოგების სხვაობის შედეგი აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით. ვინაიდან ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობით მოგების გადასახადის ბაზას არ წარმოადგენს მიიღებული მოგება, ხოლო ფინანსურ მოგების გადასახადთან სხვაობის აღრიცხვის წესი განსახილველი შემთხვევისათვის რაიმე ინსტრუქციით ან სხვა სარეკომენდაციო ხასიათის მეთოდური მითითებით რეგლამენტირებული არ არის, საწარმომ მიზანშეწონილად მიიჩნია ფინანსური შედეგები (საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი) შეამციროს მხოლოდ საანგარიშგებო წელს დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადით, ხოლო დარჩენილი თანხა გადაიტანოს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე.

4.5 თანამშრომელთა ხელფასები

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2023	2022
7410	შრომის ანაზღაურება	4 827	38 265
სულ ჯამი		**4 827**	**38 265**

4.6 ცვეთა და ამორტიზაცია:

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2023	2022
7170	ცვეთა და ამორტიზაცია	1 847	3 806
სულ ჯამი		**1 847**	**3 806**

4.7 საოპერაციო იჯარა:

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2023	2022

7420	იჯარა	0	740
	სულ ჯამი	0	740

4.8 ადმიისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2023	2022
7290	სასაქონლო-მატერიალ. მარაგის კორექტირება	5 327	-
7410	შრომის ანაზღაურება	4 827	38 265
7412	მივლინების ხარჯები	10 727	-
7430	კომუნიკაციის ხარჯები	3 943	6 288
7465	სხვა საგადასახადო ხარჯი	264	1 090
7490	სხვა საერთო ხარჯი	660	2 307
7180	რემონტის დანახარჯები	-	200
7310	რეკლამის ხარჯები	-	800
7340	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-	120
7420	საიჯარო ქირა	-	740
7450	საკონსულტაციო ხარჯები	-	1 000
სულ ჯამი		25 747	50 811

4.9. საპროცენტო ხარჯი:

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2023	2022
8210	ბანკის პროცენტი	60	0
	სულ ჯამი	60	0

4.10 სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი:

მაკორ. ანგარიში	მაკორ. ანგარიშის აღწერა	2023	2022
8240	არასაოპერაციო ზარალი	19	985
8230	კონვერტაციის ხარჯი	75	125
სულ ჯამი		94	1 110

შპს-ს ტელე-რადიო კომპანია ტვ 24-ის დირექტორი ნანა ლეჟავა